საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-62/ნ

2019 წლის 17 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის №92/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის №92/ნ ბრძანებაში (სსმ III, №41-42, 16/04/2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანების 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. სამედიცინო წარმოებისას გამოსაყენებელი სამედიცინო კლასიფიკატორები (სკანდინავიური ქვეყნების ქირურგიული პროცედურების კლასიფიკატორის (NCSP), ლაბორატორიული ჩარევების კლასიფიკატორი, ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია (ICD-10)) ხელმისაწვდომია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: classifications.moh.gov.ge.“.

3. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი (პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის ICPC-2-R გამოსაყენებელი წესი) ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე